ცივილიზაციისა და კანონის საკითხი უილიამ გოლდინგის „ბუზთა ბატონში“

თემო კოპაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

უცხო ენათა ფილოლოგია(ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

(მიმართულება: ანგლისტიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **პაატა ჩხეიძე**

ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2023

Abstract

This paper includes a critical discussion of one of the most popular English writers William Golding's work "Lord of the Flies", where the question of civilization and law is highlighted. This issue will always be relevant and especially now when the world is facing many challenges. I think Golding's unique writing style and worldview will help us consider a problem that affects each of us. The paper includes a discussion of Golding as a writer and a critical analysis of his work. In addition to the book itself, the distinguished critic Harold Bloom's Modern Critical Interpretation, in which he discusses Golding's work in detail, is one of the main sources that I will discuss in this paper. It also details the characters, theories, symbols and hidden motives of the work and the main message. In the first part of the paper, I will overview author's biography and works, followed with a brief overview of the book itself. In the second part, I will analyze the work in detail and discuss various interpretations.

The aim of this paper is to show the real value of civilization and law, according to Golding and prove its significance for the world. I also intend to show the hidden messages of the work, while discussing its main purpose, ideas and philosophical interpretations.

აბსტრაქტი

აღნიშნული ნაშრომი მოიცავს კრიტიკულ განხილვას ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ინგლისელი მწერლის უილიამ გოლდინგის ნაწარმოების „ბუზთა ბატონის“ შესახებ, სადაც ხაზგასმულია ცივილიზაციისა და კანონის თემა. ეს საკითხი ყოველთვის აქტუალური იქნება და განსაკუთრებით ახლა, როცა მსოფლიო მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. ვფიქრობ, გოლდინგის უნიკალური წერის სტილი და მსოფლმხედველობა დაგვეხმარება იმ პრობლემის განხილვაში, რომელიც თითოეულ ჩვენგანს ეხება. ნაშრომი მოიცავს გოლდინგის, როგორც მწერლის განხილვას და მისი შემოქმედების კრიტიკულ ანალიზს. გარდა თავად წიგნისა, გამოჩენილი კრიტიკოსის ჰაროლდ ბლუმის თანამედროვე კრიტიკული ინტერპრეტაცია, რომელშიც იგი დეტალურად განიხილავს გოლდინგის შემოქმედებას, არის ერთ-ერთი მთავარი წყარო, რომელსაც ამ ნაშრომში განვიხილავ. ასევე დეტალურადაა აღწერილი ნაწარმოების პერსონაჟები, თეორიები, სიმბოლოები, ფარული მოტივები და მთავარი გზავნილი. ნაშრომის პირველ ნაწილში მიმოვიხილავ ავტორის ბიოგრაფიას, რასაც მოჰყვება თავად წიგნის მოკლე მიმოხილვა. მეორე ნაწილში დეტალურად გავაანალიზებ ნაწარმოებს და განვიხილავ სხვადასხვა ინტერპრეტაციას.

ნაშრომის მიზანია აჩვენოს ცივილიზაციისა და სამართლის რეალური ღირებულება გოლდინგის მიხედვით და დაამტკიცოს მისი მნიშვნელობა მსოფლიოსთვის. ასევე ვაპირებ ნაწარმოების ფარული სათქმელის ჩვენებას, მისი მთავარი დანიშნულების, იდეებისა და ფილოსოფიური ინტერპრეტაციების განხილვას.